პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 108 (5209) | შაბათი, 14 მაისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

**გუშინ, საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით და სიხარულით შეიკრიბნენ სამასათასიან მიტინგ-დემონსტრაციაზე, რომ კიდევ ერთხელ დაემტკიცებინათ თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება მშობლიური სტალინისადმი, მშრომელთა ბედნიერი და საამური ცხოვრების შემქმნელისადმი.**

**ქართველი ხალხი გაამართლებს იმ მაღალ ნდობას, რომელიც დიდმა სტალინმა და მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა ამხანაგმა მოლოტოვმა გამოუცხადეს ქართველ ხალხს, დასთანხმდნენ რა კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.**



თბილისის მშრომელთა სამასათასიანი მიტინგ - დემონსტრაციის მონაწილენი ა.-კ. ფედერაციის მოედანზე

მოსკოვი

## ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს
## საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს

ქალაქ თბილისის მშრომელთა სამასათასიანი მიტინგი — დემონსტრაცია, რომელიც შეიკრიბა, რათა გამოეხატოს თავისი სიხარული და ენტუზიაზმი იმის გამო, რომ მიღებულია თქვენი თანხმობა კენჭი იყაროთ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე, — მხურვალე სალამსა და დიდ მადლობას გითვლით თქვენს მიერ გამოცხადებული მაღალი ნდობისათვის.

ლენინ-სტალინის დროშით, დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მშრომელმა, მიაღწიეს ბედნიერ, სასიხარულო ცხოვრებას.

ქართველ ხალხს თავისთვის უდიდეს ბედნიერებად და პატივად მიაჩნია ჰყავდეს თავის პირველ რჩეულებად საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი და მისი ერთგული თანამებრძოლი, ძლიერი საბჭოთა მთავრობის მეთაური, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

სიტყვას გაძლევთ მთელი ქართველი ხალხის სახელით, რომ ჩვენი ბოლშევიკური მუშაობით სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი ჩვენი ერთგულებით და ბოლშევიკების პარტიის გარშემო, პარტიისა და ხალხის საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო დარაზმულობით, ჩვენი მზადყოფნით — გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყოველ მტერს, — გავამართლებთ ჩვენთვის გამოცხადებულ მაღალ ნდობას.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურს, ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ძლიერი საბჭოთა მთავრობის მეთაურს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა საყვარელ ბელადს, მეგობარსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ, დიდ სტალინს!

## „თვითმფრინავთა მიერ მოძრეიფე გემებიდან გადმოყვანილი მეზღვაურები და პოლარელები ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

იმ მოძრეიფე ქარავნებიდან გადმოყვანილი მეზღვაურები და პოლარელები, რომლებსაც თან ახლდნენ ყინულმჭრელები „სადკო" და „ლენინი", მადლობას გიძღვნით თქვენ საბჭოთა კავშირის გმირ ამხ. ალექსეევის ექსპედიციის გამოგზავნისათვის ჩვენთან. ჩვენ ერთი წუთითაც არ გვეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ თქვენ, ამხანაგო სტალინ, და ჩვენი საბჭოთა მთავრობა არ დაგვტოვებდით საფრთხეში. ჩვენ აგრეთვე ახლაც დარწმუნებული ვართ იმ ჩვენი ამხანაგების უშიშროებაში, რომლებიც გემებზე დარჩნენ. ჩვენ ვიცით, რომ ყოველი მშრომელი ადამიანი საჭიროების დროს ყოველთვის მიიღებს თქვენგან დახმარებასა და მხარდაჭერას. ერთხელ კიდევ გიძღვნით მადლობას, ამხანაგო სტალინ, და გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს მთელი საბჭოთა ხალხის სასიხარულოდ.

პოპოვი (ყინულმჭრელი „მალიგინი"), პადალკო (ყინულმჭრელი „სადკო"), ბეზბოროდოვი („სადკო"), ფორმშჩუკი („მალიგინი"), კახნოვიჩი („სადკო"), ანტონოვი („სადკო"), პოსტახი (გემი „ამხანაგი სტალინი"), კოსტინი („ამხანაგი სტალინი"), ბურილინი (გემი „კამჩადალი"), უზევი („სადკო"), პანიკაროვსკი (ყინულმჭრელი „სედოვი"), ჩაუსოვსკი (ყინულმჭრელი „ლენინი"), ბადრინა („ლენინი"), სპახნულინი („მალიგინი"), მანილოვი („სედოვი"), მიზდერიკოვა (გემი „დიქსონი"), სკორნიაკოვი („ამხანაგი სტალინი"), ეფრემოვი („კამჩადალი"), უშკოვი („კამჩადალი") და სხვები. სულ 177 ხელმოწერა.

ტიქსის ბუხტი, 9 მაისი.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალ. თბილისის „პრავდის" სახელობის № 4 ოლქის საარჩევნო კომისიისა**

## ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას
**კანდიდატურის რეგისტრაციის შესახებ**

განიხილა რა საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული დოკუმენტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების შესახებ „პრავდის" სახელობის № 4 ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადასტურა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები სავსებით შეესაბამებიან „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 48, 49, 50, 51, 52 და 53 მუხლებს და **დაადგინა:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 52 მუხლის საფუძველზე გატარებულ იქნას რეგისტრაციაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად ქალ. თბილისის „პრავდის" სახელობის № 4 საარჩევნო ოლქში ამხანაგი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერია,** დაბადებული 1899 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების მდივანი, ქალ. თბილისში მცხოვრები, რომლის კანდიდატურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე წამოყენებულია 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, ამიერ-კავკასიის რკინიგზის მე-4 სავაგონო უბნის, მე-10, მე-36 მე-68, მე-48 საშუალო სკოლების მუშების, მოსამსახურეების, პედაგოგების, ექიმების და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა საერთო კრებების მიერ, რომლებსაც დაესწრო 1600 კაცი.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მე-57 მუხლის საფუძველზე ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** კანდიდატურა შეტანილ იქნას საარჩევნო ბიულეტენში ქალ. თბილისის „პრავდის" სახელობის № 4 საარჩევნო ოლქში.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების მე-56 მუხლის შესაბამისად, დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

ქალ. თბილისის „პრავდის" სახელობის № 4 ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ა. პ. ზაკომოლდინი.**

თავმჯდომარის მოადგილე **მ. ი. ბურჭულაძე**

კომისიის მდივანი **ა. გ. ოჩიგავა**

კომისიის წევრები: **გ. დ. დვალიძე, გ. ე. გელაშვილი, რ. ვ. ტიგილაშვილი, ვ. ო. პაიტიანი, ს. მ. სააკიანი, დ. ს. ოხანაშვილი.**

**საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ეჟოვის საარჩევნო ოლქის №30-ის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხანაგ**

## მიხეილ ივანეს-ძე ბარამია

საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამიას განცხადება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს კანდიდატობაზე საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ეჟოვის საარჩევნო ოლქში № 30. საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადასტურა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები სავსებით შეესაბამება საქ. სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 48, 49, 50, 51 52 და 53 მუხლებს და ადგენს: „საქ. სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მე-52 მუხლის საფუძველზე, გატარებულ იქნას რეგისტრაციაში საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისყრისათვის თბილისის—ეჟოვის საარჩევნო ოლქში № 30, საქ. სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამია, დაბადებული 1905 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი, მცხოვრები ქალაქ თბილისში, ლენინის ქუჩა, № 24, წამოყენებული გაზ. „კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის, სახელმწიფო კონსერვატორიის, საქართველოს რადიოკომიტეტის, საქნავთის, ჰიგიენის სახლის, საქ. სსრ პროკურატურის, იუსტიციის სახალხო კომისარიატის, თბილმშენის, საქკურორტპროექტის და სხვა ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებაზე.

„საქ. სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მე-57 მუხლის საფუძველზე, შეტანილ იქნას ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამიას კანდიდატურა საარჩევნო ბიულეტენში ქალაქ თბილისის — ეჟოვის საარჩევნო ოლქში № 30.

„საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მე-56 მუხლის შესაბამისად დადგენილება გამოქვეყნდეს ოლქის ამომრჩეველთა ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გ. სულუხია**

მდივანი **ვ. ქებულაძე**

კომისიის წევრები: **ე. ახვლედიანი, ვ. კალანდარაშვილი, ა. გვინჩიძე, გ. ხვადაგიანი, დ. სანებლიძე.**

# ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვა
## თბილისის მშრომელთა სამასათასიან მიტინგზე

ამხანაგებო!

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ,—მძიმე ვასაჭირსა და უბედურებასთან ერთად, როდესაც საქართველო ხანძრის ალში იყო გახვეული, განადგურებული და დამონავებული მრავალრიცხოვან მტერთა უამრავი ურდოების მიერ, — იცის აგრეთვე საკმაოდ ბევრი ბედნიერი და სასიხარულო დღე, როდესაც ხალხი განდევნიდა ხოლმე თავის მტრებს, როდესაც ძველი ქალაქი თბილისი — საქართველოს დედაქალაქი და გული — კვლავ აღორძინდებოდა ფერფლიდან და საყოველთაო სახალხო ზეიმი მჩქეფარედ მოედებოდა საქართველოს მიწა-წყლის ხეობებსა და ქალებს.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის წარსულის რომელი სასიხარულო დღე შეიძლება ოდნავ მაინც შეედაროს დღევანდელ დღეს?

არა, არ ყოფილა ასეთი დღეები!

თბილისის მშრომელები, ენტუზიაზმით გამსჭვალულნი, როგორც საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში, გამოვიდნენ დღეს, რათა ცხადჰყონ თავიანთი სიხარული, ერთგულება და სიყვარული დიდი სტალინისადმი. (მქუხარე ტაში, საქართველოს ხალხთა ყველა ენაზე გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!", „ურა!", „ვაშა!", „გაუმარჯოს ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების დიდ შემოქმედს!" მქუხარე ოვაცია).

ისტორიული მოვლენა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე სასიხარულო ბრწყინვალე ფურცელი ქართველი ხალხის ცხოვრებისა.

უდიდესი გენიოსი, მთელი მშრომელი და პროგრესიული კაცობრიობის იმედი და სიამაყე, სოციალიზმის ქვეყნის ბრძენი მესაჭე — დიდი სტალინი დასთანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ქალ. თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში.

უდიდესი, განსაკუთრებით მაღალი პატივი ხვდა ქართველ ხალხს.

თითქმის ორმოცი წლის წინათ, რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ახალგაზრდა სტალინმა პირველმაააფრიალა საქართველოსა და კავკასიაში მარქს-ენგელს-ლენინის დიადი დროშა, კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშა! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ურა!", „ვაშა!", „გაუმარჯოს დიდ სტალინს!", „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!").

დიდ ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი აჯანყებდა მეფის ყოფილი რუსეთის ხალხებს თვითმპყრობელობასთან ბრძოლისათვის, კაპიტალიზმთან ბრძოლისათვის. მარქს - ენგელს - ლენინ - სტალინის დროშით ქართველი ხალხი მიდიოდა ცარიზმზე იერიშის მისატანად, მიდიოდა ბრძოლაში „თავის" მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ — ქართველ თავადთა, აზნაურთა, მემამულეთა და კულაკთა წინააღმდეგ.

თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, კავკასიის ყველა უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებში ამხანაგი სტალინი რაზმავდა მუშებს და ზრდიდა მათ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მშრომელთა ყველა მტრის წინააღმდეგ.

ამხანაგმა სტალინმა აქ თბილისში დაიწყო თავისი რევოლუციური მოღვაწეობა. (ტაშის გრიალი. მქუხარე ოვაცია, მოისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!").

მაშინ თბილისში არ ყოფილა არცერთი ქარხანა და ფაბრიკა, რომელთა მუშებსაც არ სცნობოდეთ ამხანაგი სტალინი, არ სცოდნოდეთ მისი საორგანიზაციო-საპროპაგანდო მუშაობა, არ ეგრძნოთ მისი ნებისყოფა ბურჟუაზიულ-მემამულურ წყობილებაზე გამარჯვებისადმი.

თბილისის ქუჩებში 1901 წელს ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით თბილისის პროლეტარიატმა კავკასიაში პირველად გაუმართა აშკარა ბრძოლა ძველ წყობილებას, გამოვიდა რა მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაციით.

და აქ, დღეს ამ მიტინგს ცოტანი როდი ესწრებიან ის ძველი მუშები, რომელნიც სტალინის ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მუშათა კლასის პირველ რევოლუციურ შეტაკებებში ცარიზმსა და ბურჟუაზიასთან.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, რომელმაც დაამხო მეფის თვითმპყრობელობა და პირველმა ააფრიალა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის დროშა, ქართველმა ხალხმა მიიღო თავისუფლება და გამოვიდა ნაციონალური აღორძინებისა, სამეურნეო და კულტურული აყვავების ფართო გზაზე.

სტალინის დროშით საქართველოს მშრომელებმა, ისე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მიაღწიეს ბრწყინვალე, ბედნიერ, სასიხარულო ცხოვრებას.

დღითი-დღე იზრდება მუშათა მატერიალური კეთილდღეობა, შეძლებული ცხოვრების მწვერვალებისაკენ სწრაფად მიდიან კოლმეურნე მასები, ჰყვავის კულტურა, ფართოდ იფურჩქნება ხალხის შემოქმედებითი ნიჭი, განთავისუფლებული მეცნიერული აზრი, ეუფლება რა ცოდნის მაღლობებს, წარმატებით სწვდება ბუნების საიდუმლოს და აყენებს მას მშრომელი კაცობრიობის სამსახურში.

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ აღბეჭდა ჩვენი ქვეყნის ეს უდიდესი მიღწევები.

კომუნისტთა და უპარტიოთა განუყრელმა სტალინურმა კავშირმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში უჩვენა მთელს მსოფლიოს, თუ რა დიდი და ურღვევია ჩვენი სამშობლოს ხალხთა პოლიტიკური და მორალური ერთიანობა.

არაფერს არ შეუძლიან გასწყვიტოს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის კავშირი.

ჩვენმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებათა განუხრელი განხორციელებით გაანადგურა ხალხის მოსისხლე მტრები — ტროცკისტები, ბუხარინელები, მენშევიკები და საერთაშორისო იმპერიალიზმის სხვა აგენტები, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალნათ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი მოძრაობა კომუნიზმისაკენ.

თავისი უძლურებით გაავთრებული ბოროტება ფაშისტური ბურჟუაზიისა, რომელიც ამზადებდა სოციალიზმის ქვეყანაზე თავდასხმას, იმსხვრევა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შეურყეველ ძლიერებაზე.

სამხედრო საშიშროებისა და აგრესიული ფაშისტური ძალების წინაშე, ჩვენი დიადი სამშობლო თავისი ძლიერების შევნებით განაგრძობს თავისი ცხოვრების მშვიდობიანად შენებას მშრომელთა ინტერესებისათვის და ემზადება მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის.

მოზეიმე ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ მან მიიღო დიდი სტალინის თანხმობა კენჭისყრაზე, იგი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი დეპუტატი იქნება ის, ვინც პირველმა აღმართა საქართველოში თავისუფალი და საამური ცხოვრებისათვის ბრძოლის დროშა. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ოვაცია. მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მამას და მასწავლებელს!", „ვაშა!", „ურა!").

ქართველი ხალხი სიხარულის გრძნობას განიცდის კიდევ იმიტომ, რომ დიდი სტალინის უახლოესმა და ერთგულმა თანამებრძოლმა, მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს მთავრობის მეთაურმა ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა თანხმობა გამოუცხადა აგრეთვე კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში. (მქუხარე ტაში. ისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხ. მოლოტოვს!", „გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს — დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, დიდი რუსი ხალხის ერთგულ შვილს!").

ეს გვავალებს ჩვენ ვამრავლოთ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები, ვამრავლოთ ისინი ბოლშევიკური ენერგიული, ყოველდღიური გულმოდგინე მუშაობით ყველგან და ყოველთვის, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე-ფაბრიკასა და ქარხანაში, ტრანსპორტზე, კოოპერაციასა და ვაჭრობაში, ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, მარცვლეულის, მევენახეობის, მეცხოველეობისა და სხვა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში, სასკოლო სწავლებასა და ლაბორატორიაში ყველა დაწესებულებასა და საწარმოში.

ეს გვავალებს ჩვენ დავიცვათ ლენინ-სტალინის პარტიის სიწმინდე, განვამტკიცოთ ხალხთა სტალინური მეგობრობა, განვამტკიცოთ კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრი ბლოკი უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში. (მქუხარე ტაში).

ეს გვავალებს ჩვენ ჩავატაროთ არჩევნები მაღალ დონეზე, მივაღწიოთ იმას, რომ უკლებლივ გამოცხადდეს ყველა ამომრჩეველი საარჩევნო ყუთებთან 12 ივნისს და ხმა მისცეს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგებო! გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რათა სახელოვნად გავამართლოთ ის დიდი ნდობა, რომელიც გამოგვიცხადა ჩვენ, მთელს ქართველ ხალხს, მშრომელთა დიდმა ბელადმა — საყვარელმა და მშობლიურმა სტალინმა.

საბჭოთა პატრიოტიზმის სულით გამსჭვალული, საყვარელი სტალინის გარშემო დარაზმული საქართველოს მშრომელები მზად არიან ყოველ მომენტში გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ მტერს, რომელიც გაჰბედავს ხელი აღმართოს ჩვენი დიადი სამშობლოს წმინდა საზღვრების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ბლოკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს! (ოვაცია. მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს — დიდ სტალინს! **(მქუხარე ხანგრძლივი ოვაცია. ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე ისმის განუწყვეტელი მისალმებანი: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!", „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!", „გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ბლოკს!", „ურა!", „ვაშა!", „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს — მშობლიურ, საყვარელ სტალინს!".**

**ოვაცია დიდხანს არ სწყდება. მოედნის კიდის-კიდემდე გაისმის მისასალმებელი შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად).**

# თბილისის მშრომელთა სამასათასიანი მიტინგი-დემონსტრაცია

## ამხ. მ. გვიშიანის სიტყვა

ამხანაგებო! თბილისის მშრომელებს წილად ხვდათ დიდი პატივი — დიდმა ბელადმა, ჩვენმა ამხანაგმა სტალინმა და მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა ამხანაგმა მოლოტოვმა შეგვატყობინეს, რომ ისინი თანახმანი არიან კენჭი იყარონ ქალაქ თბილისის საარჩევნო ოლქებში.

ქალაქ თბილისის მშრომელნი, ამ სასიხარულო ამბით აღფრთოვანებულნი, შეუკავებელ ნაკადად გამოემართნენ ქალაქის ყოველ კუთხიდან მოედნისაკენ, რათა კიდევ და კიდევ გამოეხატათ უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობები თავის მშობლიური ბელადისადმი—დიდი სტალინისადმი და ძლიერი საბჭოთა მთავრობის მეთაურისადმი—ამხანაგ მოლოტოვისადმი.

ბელადისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის თანხმობა იმაზე, რომ კენჭი იყარონ ქალაქ თბილისში, თვითეულ ჩვენგანს სიხარულსა და აღტაცებას ჰგვრის და ამასთან ერთად დიდ მოვალეობას გვაკისრებს — პირნათლად და ღირსეულად შევასრულოთ ის ამოცანები, რომლებიც ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დაგვაკისრეს, და წარმატებით ჩავატაროთ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

ქ. თბილისის მშრომელნი, მხურვალე სიყვარულით გამსჭვალულნი, სიხარულით აღსავსენი და ბედნიერნი იმ ყურადღებით, რომელიც მათ აღმოუჩინეს, ზეიმით კისრულობენ ვალდებულებას კიდევ უფრო მაღლა ასწიონ **ლენინ-სტალინის** პარტიის დიადი უძლეველი დროშა, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ თავისი რიგები კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევ სტალინურ ბლოკში და მიაღწიონ კომუნიზმის ახალ-ახალ გამარჯვებებს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს**!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა ბელადს — დიდ **სტალინს**!

ამხანაგებო!

თბილისის მშრომელთა მიტინგს, მიძღვნილს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი, გახსნილად ვაცხადებ.

[illegible]

## კლარა მარტინის-ასული სკანდაროვას სიტყვა

(101 სკოლის [illegible] მოწაფე)

[illegible] დღეა ყველა ჩვენგანისათვის. ეს დღე სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც ნამდვილი საყოველთაო სახალხო ზეიმის დღე.

ჩვენ ყველამ უდიდესი სიამაყით გავიგეთ სასიხარულო ამბავი—ჩვენი მამა დიდი **სტალინი** დასთანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ლენინის საარჩევნო ოლქში.

ჩვენ, საბჭოთა ბავშვები, რომელნიც გარემოსილნი ვართ ჩვენი მშობლიური მამის დიდი **სტალინის** [illegible] ტარე მოქალაქეებს, თუმცა ჯერ არც კი მიგვიღწევია საარჩევნო ასაკისათვის და ვერ შევძლებთ მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ ჩვენ აგიტაციას გავწევთ ჩვენს მამებს, დედებს, დებსა და ძმებს შორის, რათა ისინი გამოცხადდნენ არჩევნებზე 12 ივნისს და ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ამით ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას პარტიის წინაშე, დიდი სტალინის წინაშე, საბჭოთა [illegible] რი ჭაბუკობა.

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის პარტიას**!

გაუმარჯოს სტალინის უახლოეს თანამებრძოლს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს**!

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს — ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას**!

გაუმარჯოს სასიხარულო, ბედნიერი ცხოვრების შემომქმედს, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემომქმედს ჩვენს მშობლიურ მამას, დიდ **სტალინს**!

## ამხ. ივ. დევსურაშვილის სიტყვა

(სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი)

**ამხანაგებო!** 1938 წლის 11 მაისი თბილისისა და მთელი საქართველოს მშრომელთა უდიდესი აღფრთოვანების, ბედნიერებისა და სიხარულის დღეა.

ამ დღეს მოვიდა ქართველი ხალხისათვის მუდამ საამაყო და სასიხარულო ცნობა.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი, ჩვენი საყვარელი მამა და მასწავლებელი, ქართველი ხალხის პირველი კანდიდატი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე — მშობლიური იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი დასთანხმდა კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში.

ეს სასიხარულო ცნობა ელვის სისწრაფით მოედო ფაბრიკა-ქარხნებს, საამქროებს, ბრიგადებს, მათ შორის ჩვენს ქარხანასაც და უდიდესი აღფრთოვანებითა და ბედნიერებით აავსო საქართველოს მშრომელთა გული. უდიდესი სიხარულითა და სიამაყის გრძნობით ხმას მივსცემთ იმას, ვისაც განუხრელად მიჰყავდა და მიჰყავს ჩვენი ქვეყანა დიდი ლენინის გზით, ვინც სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია, ვინც შეგვიქმნა საამური და ბედნიერი ცხოვრება, ვისი სახელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთა გამარჯვების დროშაა.

მიღებულია მეორე სასიხარულო ცნობაც. დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა მთავრობის მეთაური ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი დასთანხმდა კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქში.

უსაზღვრო და განუზომელია ქართველი ხალხის ბედნიერება და სიხარული.

უძვირფასესი ბელადისა და მასწავლებლის — მშობლიური იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის თანხმობას, ამ უდიდეს და საამაყო ნდობას საქართველოს მშრომელები ვუპასუხებთ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვით. ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, ხმას მივცემთ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის სახელოვან კანდიდატებს— ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილებს, ლენინ - სტალინის პარტიისადმი ერთგულ და თავდადებულ ადამიანებს.

გაუმარჯოს სტალინის უახლოეს თანამებრძოლს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს**!

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას**!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიას და მის ბრძენ ბელადს, მშრომელთა მამასა და მასწავლებელს დიდ **სტალინს**!

## ამხ. აგაბო შველიძის სიტყვა

(ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი)

ამხანაგებო! დღეს მთელმა საქართველომ, მთელმა საბჭოთა კავშირმა იცის დიდი სასიხარულო ამბავი: ჩვენმა საყვარელმა მამამ, ახალგაზრდობის მეგობარმა დიდმა სტალინმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლმა, საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა თანხმობა განაცხადეს კენჭი იყარონ თბილისის საარჩევნო ოლქებში. სიხარულისა და ბედნიერების გრძნობებმა შეიპყრეს მთელი საქართველოს მშრომელები. ეს სასიხარულო ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა წარმოებებში, დაწესებულებებში, სკოლებში, პიონერთა რაზმებში და საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტები, მასწავლებლები, ლექტორები და პროფესორები უდიდესი სიხარულითა და ენტუზიაზმით შეხვდნენ ამ სასიხარულო ცნობას.

ჩვენ, საბჭოთა ახალგაზრდობა, ოქტომბრის შვილები ყველაზე ბედნიერი ვართ მთელს ქვეყანაზე.

ჩვენი კონსტიტუციის მე-121 მუხლში სწერია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება“ და ჩვენი ხალხიც სწავლობს. სწავლობენ ბავშვები, მოზარდები, ხანში შესულები, სწავლობენ მოწაფეები, მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მამაკაცები და ქალები. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დაგუბებულმა სურვილმა გასაქანი იპოვა. სწავლობს მთელი საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ყველაზე უსწავლელ ქვეყნიდან ყველაზე განათლებულ და კულტურულ ქვეყნად გადაიქცა.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი მშვენიერი სამშობლო. ჩვენ გვიყვარს დიდი სტალინი, რომელმაც მოგვანიჭა ეს ბედნიერი, მხიარული, საამური ცხოვრება. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის ყველა ამომრჩეველს:

ხმა მივცეთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებს, კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან ლენინ-სტალინის საქმისათვის.

გაუმარჯოს დიდი რუსი ხალხის საამაყო შვილს, საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურს ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს**!

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას**!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს და ხალხთა ბელადს, ჩვენს მასწავლებელსა და მამას დიდ **სტალინს**!

## დიასახლისი მარიამ არტემის-ასულ გარიბოვა-მიალკოვსკაიას სიტყვა

(26 კომისრის სახელობის რაიონიდან)

ამხანაგებო!

თავისუფალი ქართველი ხალხი ემზადება სასიხარულო დღისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის.

12 ივნისს ბედნიერი ქართველი ხალხი აირჩევს სახელმწიფო ძალაუფლების თავის უმაღლეს ორგანოს. ეს დღე არის სამხიარულო დღესასწაული მთელი ქართველი ხალხისათვის.

ქალი, რომელიც დაჩაგრული და ჩამორჩენილი იყო წარსულში, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გარემოსილია დიდი სტალინური მზრუნველობით და მამაკაცთან თანასწორად ემზადება მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის.

ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, ჩვენმა საყვარელმა მეგობარმა და მამამ — ამხანაგმა სტალინმა შეჰქმნა ჩვენთვის ბედნიერი და საამური ცხოვრება.

აი რატომ არის, რომ ჩვენ, დიასახლისები, ვემზადებით უდიდესი სიხარულით შევხვდეთ ისტორიულ დღეს ქართველი ხალხის ცხოვრებაში — 1938 წლის 12 ივნისს.

აი რატომ არის, რომ ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი ვემზადებით მივცეთ ჩვენი ხმები კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

**ამხანაგებო!**

ცნობა იმის შესახებ, რომ მთელი ხალხის უსაღვროდ საყვარელი დიდი **სტალინი** დასთანხმდა კენჭი იყაროს ქალ. თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში, სიამაყითა და სიხარულით ავსებს ჩვენს გულს, კიდევ უფრო მჭიდროდ გვრაზმავს ჩვენ **ლენინ-სტალინის** მძლავრი პარტიის ირგვლივ.

ჩვენ უდიდესი სიხარულის გრძნობით შევიტყვეთ, რომ მოლოტოვი — დიდი **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლი და მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაური დასთანხმდა კენჭი იყაროს ქალ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში.

ჩვენ, დიასახლისები, ყველა როგორც ერთი კაცი კიდევ და კიდევ მივაპყრობთ ჩვენს თვალებს დიდ **სტალინს** და ვეტყვით: გმადლობთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის, ვეტყვით, რომ განუსაზღვრელად ბედნიერები ვართ მოგცეთ ჩვენი ხმები **შენ**, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ**, და შენს საუკეთესო თანამებრძოლებს, ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანებს.

გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ბლოკს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს — ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას**!

გაუმარჯოს დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს საბჭოთა მთავრობის მეთაურს — ამხანაგ **მოლოტოვს**!

გაუმარჯოს ხალხთა ბელადს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს, ქართველი ხალხის პირველ კანდიდატს — დიდ **სტალინს**!

## პროფ. არჩილ ხარაძის სიტყვა

ამხანაგებო! საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი სიხარულის მღელვარებამ მოიცვა. დღეს თბილისის მთელი მოსახლეობა გარეთ გამოვიდა; აღტაცებული, მოზეიმე საბჭოთა მოქალაქე დღეს თბილისის ქუჩებში განსაკუთრებით ამაყად მოაბიჯებს და თან გულში მოაქვს უდიდესი სიყვარული და პატივისცემა იმ ადამიანებისადმი, ვინც საბჭოთა კავშირის ხალხები და მათთან ერთად ქართველი ხალხიც აყვავების, გაფურჩქვნისა და მჩქეფარე შემოქმედების გზაზე დააყენა.

დღეს ჩვენ აქ მოვედით არამარტო იმისათვის, რომ ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთ მივულოცოთ ბედნიერი წუთები, არამედ იმისათვის, რომ ამაყად განვაცხადოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მონაწილეა ამ ბედნიერი განცდებისა.

ყოველი ჩვენგანი ხმას აძლევს იმათ, ვისაც მშრომელი ხალხი იცნობს, როგორც სოციალისტური სამშობლოს ნამდვილ პატრიოტებს, როგორც კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ერთგულ ადამიანებს.

დღეს თბილისის მოსახლეობა ღრმა პატივისცემითა და სი-

# გამარჯვებისა და სიხარულის დემონსტრაცია

თბილისში ზეიმი და საყოველთაო სახალხო მხიარულებაა. დაუვიწყარი იქნება 1938 წლის 11 მაისი, თბილისის მშრომელთათვის დიდი სიხარულის მომტანი დღე. ამ დღეს ტელეგრაფმა გადმოგვცა მოკლე და ლაკონური სიტყვები ბელადის თანხმობისა —კენჭი იყაროს, როგორც საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა, ქალაქ თბილისში, ლენინის საარჩევნო ოლქში.

— დიდი **სტალინი** ჩვენი კანდიდატია, იგი დათანხმდა კენჭი იყაროს ჩვენში!

ხალხში გავრცელდა ეს სასიხარულო ცნობა, მოქალაქენი ერთმანეთს ულოცავდნენ საშვილიშვილოდ საამაყო ამბავს. და, როგორც ტალღა, დადიოდა ეს ამბავი ხალხის ოკეანეში, მან მიაღწია ყველა კუნჭულს, ყველა ფენას, ყველამ გაიგო, ყველა აღაფრთოვანა ბელადის თანხმობამ.

— დიდი სტალინის თანამებრძოლიც, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მთავრობის — საბჭოთა მთავრობის მეთაურიც ჩვენი კანდიდატია. ვიაჩესლავ მოლოტოვიც დასთანხმდა ჩვენში კენჭისყრაზე! ორი დიადი ცნობა ერთდაიმავე დროს!

საერთო საქალაქო მიტინგი სასიხარულო ამბებით აღფრთოვანებული თბილისელი მშრომელებისა 13 მაისს საღამოს შესდგა ქალაქის გულში, ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანზე. დილიდანვე შეუდგნენ მიტინგზე გამოსასვლელად მზადებას ქარხნებში, ფაბრიკებში, სასწავლებლებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საცხოვრებელ სახლებში. იქ დროშები მოიმზადეს, აქ ორკესტრები, ზოგან ახალი პლაკატებისა და პორტრეტების დახატვას შეუდგნენ. ასეული ათასობით მშრომელები ქალაქის უთვალავი ქუჩებიდან მიტინგზე წასვლის მომენტს ელოდნენ.

დადგა საღამო, შესანიშნავი და იშვიათი, თითქოს ბუნებაც ხელს უწყობს მშრომელთა გულში საზეიმო განწყობილების გაძლიერებას. პროსპექტებზე ფერადფერადი ყვავილები უცინიან დემონსტრანტებს, მზემ ღრუბლებში მიმალა სხივები და ნიავმა ჰაერი გააგრილა.

ხალხი დაიძრა წინასწარ დათქმული თავმოსაყრელი ადგილებისკენ.

საღამოს 7 საათი შესრულდა. ფედერაციის ვრცელი მოედნის ქვემო მხარეს, მარმარილოს ტრიბუნაზე, წითელ ქსოვილებით აფერადებული კვარცხლბეკია აღმართული.

ტრიბუნის წინ კინოოპერატორები და ფოტოგრაფები ფუსფუსებენ, „იუპიტერების“ ჭაღებთან მექანიკოსები მორიგეობენ, წითელ კვარცხლბეკზე რადიოტექნიკოსებმა მიკროფონი დადგეს.

მოედანი აივსო მოზეიმე მშრომელებით. ირხევა დროშების დაუსრულებელი ტყე, ისმის ორკესტრების გუგუნი, სიმღერა, სახალხო ლხენის ხმა. „იუპიტერები“ და ძლიერი პროჟექტორები აფრქვევენ თვალისმომჭრელ შუქს, თუმცა ჯერ დღე არ მიწურულა და არ ბნელა. ზღვასავით ბობოქრობს ვეებერთელა მოედანი. ვაშლი რომ გადააგდო, ძირს არ დავარდება, რომ იტყვიან, ისეა იგი გაჭედილი ხალხით. კომინტერნის ქუჩა, რუსთაველის პროსპექტი, კეცხოველის ქუჩა, სარეწაო კოოპერაციის, კიროვის, აკაკი წერეთლის, პუშკინის ქუჩებიც გაჭედილია ხალხით. თითქოს მთელი ქალაქი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა გარეთ გამოსულა სიხარულითა და იმ ადამიანისადმი მადლობის გრძნობით აღვსილი გულით, ვინც მესაჭეობს ჩვენს დიად სამშობლოს, ვისი სახელიც იმედის მომგვრელია ყველა ჩაგრულისათვის, ვისი სახელიც არის სიმბოლო გამარჯვებისა და კაცობრიობის ბედნიერებისა.

**სტალინი!**

— დიდი სტალინი ჩვენი კანდიდატია!

— ბელადის უახლოესი თანამებრძოლი, დიდი რუსი ხალხის შვილი —ვიაჩესლავ მოლოტოვიც ჩვენი კანდიდატია!

წითელ კვარცხლბეკზე ავიდნენ ამხანაგები: ბერია, გოგლიძე, ტიულენევი, სტურუა, შარია, იმხანოვი, გვიშიანი, ჩარკვიანი, ჯაში, მერკულოვი, მამულოვი, ჯორბენაძე, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები — ორდენოსნები, სტახანოველები, მეცნიერები, მსახიობები, მწერლები..

მიკროფონთან მივიდა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. მ. გვიშიანი.

— ამხანაგებო, — წარმოსთქვა მან და მყისვე სრული სიჩუმე ჩამოვარდა ხალხით სავსე მთელ სივრცეზე.—თბილისის მშრომელებს წილად გვხვდა დიდი პატივი და ბედნიერება. ხალხთა მამამ, ჩვენმა ბელადმა დიდმა სტალინმა და საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა თანხმობა განაცხადეს—კენჭი იყარონ თბილისში...

ბელადისა და მისი თანამებრძოლის, დიდი რუსი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგი მოლოტოვის სახელის ხსენებაზე იგრიალა ტაშმა, ორკესტრებმა დააგუგუნეს „ინტერნაციონალის“ აღმაფრთოვანებელი ჰიმნი, გაისმა ხმები მისალმებისა ყოველი მხრიდან და ყოველ კუთხეში. აი, მინელდა ტაშის ხმა ტრიბუნის მახლობლად და წამოვიდა ახალი ტალღა „ვაშას“ ძახილისა, ტაშისა და აღფრთოვანების გამომხატველი ხმებისა რომელიღაც ქუჩის შორეული კუთხიდან. მოდის ეს ტალღა და თანდათან ძლიერდება. ყველგან ესმით ორატორის ხმა, ყველგან, არა მარტო დედაქალაქის ქუჩებზე და მოედნებზე, მთელ საქართველოში, ამიერკავკასიაში, დიად საბჭოეთში. რადიოს მიაქვს ყველგან თბილისის მშრომელთა საერთო სიხარულის ამბავი.

ორატორი განაგრძობს სიტყვას. მას ხშირად აწყვეტინებენ და ხელახალი სიძლიერით გუგუნებს 300.000-იანი მიტინგი. კიდევ ოვაციები, კიდევ ტაში და საყოველთაო სიხარულისა და აღფრთოვანების ხმაური.

ამხ. გვიშიანმა მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა მისცა თბილისის რკინიგზელი მუშების წარმომადგენელს ამხ. ი. დევსურაშვილს, შემდეგ გამოდის პროფესორი არჩ. ხარაძე, მას სცვლიან 101-ლი სკოლის მოწაფე, პიონერი სკანდაროვა, თბილისის სტუდენტობის წარმომადგენელი ამხ. შველიძე, დიასახლისთა წარმომადგენელი ღარიბოვა - მიალკოვსკაია.

რადიო-რუპორებიდან მოისმა მიტინგის თავმჯდომარის ხმა:

— სიტყვა ეძლევა ამხანაგ ლავრენტი ბერიას!

ასტყდა ტაშის გრიალი და გამაყრუებელი საზეიმო ხმაური.

— გაუმარჯოს დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფეს—ამხანაგ ბერიას!

— გაუმარჯოს ქართველი ხალხის შვილს, საქართველოს ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს!

— ამხანაგ ლავრენტი ბერიას, ვაშა!

მისალმებათა ძახილი მოისმოდა ყოველი მხრიდან, ტაშისა და ოვაციების ხმა ირეოდა ორკესტრთა გუგუნში.

ამხანაგმა ბერიამ დაიწყო სიტყვა. ყურადღებული ისმენს მას ეს აურაცხელი ხალხი, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ ახალი საზეიმო გუგუნით შეაწყვეტინონ მას მოხდენილი და ღრმა პოლიტიკური შინაარსით სავსე სიტყვა.

დაამთავრა სიტყვა ამხანაგმა ბერიამ და ხელახალი სიძლიერით დაიგუგუნა ხალხმა.

— დიდება და დღეგრძელობა ჩვენს ბელადს—დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს—ამხანაგ მოლოტოვს!

— გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს, მტკიცე სტალინელს ამხანაგ ბერიას!

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ შემოვიდა წინადადება დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლის —ამხანაგი მოლოტოვისათვის მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ. 300.000 კაცმა ერთსულოვანი ტაშითა და გუგუნით გამოხატა თავისი თანხმობა ამ წინადადებაზე.

ამხ. მ. ჩუბინიძემ წაიკითხა დიდი ბელადისა — ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლის ამხანაგ მოლოტოვისათვის გასაგზავნი მისასალმებელი დეპეშა.

მიტინგმა ერთხმად მიიღო დეპეშის ტექსტი. სამასმა ათასმა მშრომელმა ერთსულოვანი ძახილით, ერთსულოვანი მოწონებით გამოხატა თავისი მზადყოფნა — სიცოცხლე შესწიროს დიადი სტალინური სამშობლოს ბედნიერებას, მტკიცედ დაიცვას დიდი ბელადის სიცოცხლე, შეამჭიდროვოს თავისი რიგები ლენინ-სტალინის უძლეველი დროშის გარშემო, ხმა მისცეს და აირჩიოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები.

დამთავრდა მიტინგი და პროჟექტორებით გაჩირაღდნებულ მოედანზე დაიწყო მძლავრი დემონსტრაცია რომელიც გვიან ღამით დამთავრდა.

# სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

[illegible]

... ფუძლად უნდა დაუდოს მეცნიერულ მიღწევათა გეგმაშეწონილი გამოყენება სოციალისტური საზოგადოების შენების დასახმარებლად. სწორედ ამ გადაწყვეტილებებს უნდა შეესაბამებოდეს აკადემიის სამუშაოთა გეგმა.

მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლების ზედაპირულ ინფორმაციათა გარშემო გაშლილ ცხოველ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგმა კაფტანოვმა, ლ. მ. კაგანოვიჩმა, ლენინის სახელობის სასოფლო - სამეურნეო აკადემიის პრეზიდენტმა ტ. დ. ლისენკომ, აკადემიკოსმა კრჟიჟანოვსკიმ, ვოზნესენსკიმ, მოლოტოვმა.

გამოსვლებში აღნიშნულ იქნა მიღწევანი მეცნიერებათა აკადემიის მუშაობაში, აგრეთვე გამოთქმულ იქნა მრავალი ფრიად არსებითი კრიტიკული შენიშვნა ამ მუშაობის შესახებ, მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურმა განყოფილებამაც კი ვერ იპოვა კავშირი თავის მოღვაწეობასა და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ მუშაობას შორის. მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთს ინსტიტუტში კი თავშესაფარს ჰპოულობს ცრუ-მეცნიერება, ხოლო ამ ცრუ-მეცნიერების წარმომადგენლებს არ უწევენ ჯეროვან წინააღმდეგობას.

დაწვრილებითი განხილვის შემდეგ სახკომსაბჭომ გამოიტანა მთელი რიგი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ გადასწყვიტა თავი შეიკავოს ჯერჯერობით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 1938 წლის მუშაობის გეგმის დამტკიცებისაგან და წინადადება მისცა აკადემიას წინასწარ განიხილოს ეს გეგმა აკადემიის საერთო კრებაზე.

მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ექსპედიციების 1938 წლის გეგმის განსახილველად გამოყოფილია სპეციალური კომისია.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ წინადადება მისცა მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ განყოფილებას შემოიღოს მეთვალყურეობა, რათა სამეურნეო ორგანიზაციათა მუშა- [illegible]

სატარიფო ცხრილისა და განაკვეთების სიმრავლე ქარხნებში (სტალინის სახელობის ქარხანაში— 40 განაკვეთია, მოლოტოვის სახელობის გორკის ქარხანაში 22 განაკვეთია და ათი ცხრილი)—ართულებს და არევდარევა შეაქვს ხელფასის სისტემაში, ძნელად მისაწვდომს ხდის მას მუშებისათვის და აძნელებს ხელფასის სწორად გამოანგარიშების კონტროლს.

საავტომობილო ქარხნებში ადგილი აქვს გათანაბრებას ცხელი და ცივი საამქროების მუშათა შრომის ანაზღაურებაში, არანორმალურად დიდი განსხვავებაა დროის მიხედვით მომუშავე და ნარდად მომუშავე მუშათა შრომის ანაზღაურებას შორის; ხშირად მაღალკვალიფიციურ სამუშაოთა ხელფასი მცირე კვალიფიციური სამუშაოს ხელფასზე ნაკლებია. ხელფასის პროგრესიულ-სანარდო სისტემა მუშაობაში ნაკლებად არის გავრცელებული: ასე, მაგალითად,—სტალინის სახელობის ქარხანაში 18.800 მენარდიდან ამ სისტემით ხელფასს უხდიან მხოლოდ 100-მდე მუშას. ადგილი აქვს დიდი რაოდენობით პრემიალური სისტემის გამოყენებას, რაც იწვევს ხელფასის მექანიკურ ზრდას და სტიმულს არ აძლევს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

საამქროთა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მუშების შრომის ანაზღაურებაში ადგილი აქვს არასწორ შეფარდებას, ოსტატების არსებული ხელფასი ხშირად სათანადო მუშების სატარიფო განაკვეთზე დაბალია.

ყველაფერი ეს ხელს უწყობს კადრების დენადობას, აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და წუნთან ბრძოლას, ხელს უშლის სტახანოვური მოძრაობის განვითარებას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ძირითადად მოიწონა მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის მიერ დასახული ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის და ხელფასის სისტემის მოწესრიგებისა და გამარტივებისათვის საავტომობილო ქარხნებში.

# სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის შესახებ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც 11 მაისს შესდგა, მთლიანად მიეძღვნა აკადემიის მუშაობის განხილვას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 8 მაისს მიღებულ და 11 მაისს გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. სხდომას ესწრებოდნენ აკადემიის პრეზიდიუმი სრული შემადგენლობით, მოსკოვში მყოფი ყველა აკადემიკოსი და სამეცნიერო დაწესებულებათა მრავალი თანამშრომელი.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ლ. კომაროვი დაწვრილებითი ინფორმაციით გამოვიდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სხდომის შესახებ, რომელზედაც მეცნიერებათა აკადემიის მოღვაწეობა ყოველმხრივ იყო განხილული და მას გაღრმავებული კრიტიკა გაეწია.

კამათში გამოვიდნენ აკადემიკოსები ე. ვ. ბრიცკე, ა. ნ. ბახი, ვ. დ. გრეკოვი, ა. ე. ფერსმანი, ა. დ. არხანგელსკი, გ. მ. კრჟიჟანოვსკი, ი. მ. გუბკინი, ბ. ა. კელერი, ვ. ვ. სტრუვე, ინსტიტუტის თანამშრომლები და განყოფილებათა მუშაკები. ისინი ერთსულოვნად იწონებდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას და თავის მხრივ მკვეთრად აკრიტიკებდნენ მეცნიერებათა აკადემიის მუშაობას მის ცალკეულ უბნებზე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მითითებათა შესაბამისად მეცნიერებათა აკადემიის სამუშაოთა გეგმა უნდა გადამუშავდეს. პრეზიდიუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება მოიწვიოს 28 მაისს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება და ამ სხდომაზე განიხილოს აკადემიის სამუშაოთა 1938 წლის გეგმის საფუძვლები. წინასწარ ცალკეული ინსტიტუტების გეგმები განხილულ იქნება სამეცნიერო საბჭოებში ინსტიტუტების აქტივთან ერთად.

მეცნიერ-აკადემიკოსები მტკიცე რწმენას გამოსთქვამდნენ, რომ, გარდაიქმნება რა მთავრობის მითითებათა საფუძველზე, მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა მეცნიერების ნამდვილ შტაბად გადაიქცევა.

გამოცხადებულია აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა დამატებითი არჩევნები. ასარჩევია 20 აკადემიკოსი და 74 წევრი-კორესპონდენტი. უახლოესი ორი თვის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებებს შეუძლიათ წარადგინონ თავისი მოსაზრებანი ყველაზე ღირსეულ კანდიდატთა შესახებ.

(საკდესი).

## ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ ვ. პ. ზოტოვი დაამტკიცა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ნ. ი. პრონინი დაამტკიცა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ. (საკდესი).

## სტალინირის სასოფლო საარჩევნო № 231 ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა

## ამხ. ვლადიმერ ივანეს-ძე ხუბაევი

**სტალინირი**, 11 მაისი (საქდესი). საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების სტალინირის სასოფლო საარჩევნო № 231 ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად 11 მაისს რეგისტრაციაში გაატარა ამხანაგი ვლადიმერ ივანეს-ძე ხუბაევი, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, სამხრეთ - ოსეთის ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელი, ქალაქ სტალინირის მცხოვრები.

# საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების კანდიდატთა რეგისტრაცია

**ქ. თბილისის კარლ მარქსის № 12 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხანაგი**

## ა. თ. კვაჭაძე

საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა შემოსული დოკუმენტები საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურათა წამოყენების შესახებ, დაადასტურა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები სავსებით შეესაბამება „საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 48, 49, 50, 51, 52, 53, მუხლებს და დაადგინა:

„საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 52 და 53 მუხლის საფუძველზე რეგისტრირებულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად კარლ მარქსის № 12 საარჩევნო ოლქში ალექსანდრე თომას-ძე კვაჭაძე, დაბადებული 1900 წელს, საკ. კ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი, მცხოვრები ქალაქ თბილისში პლეხანოვის პროსპექტზე № 147, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული საქმშენის, „ინქმშენის" ავტობაზის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სტალინის რაიონის სამხ. ვაჭრობის, ქიმიური ინსტიტუტის, არტელ „ლიმონადის", მილიციის მე-5 განყოფილების, ქალაქის საბინაო სამმართველოს, ყრუ-მუნჯთა სრულიად-საქართველოს საზოგადოების, ცეკავშირის ღვინის წარმოების, მთავარი ფოსტის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრებების მიერ, რომელთაც დაესწრო 2 ათასი კაცი.

„საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 57 მუხლის საფუძველზე შეტანილ იქნას ამხ. ალექსანდრე თომას-ძე კვაჭაძის კანდიდატურა ქ. თბილისის კარლ მარქსის № 12 საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენში.

საოლქო კომისიის თავმჯდომარე **პ. პ. სავინსკი.**
თავმჯდომარის მოადგილე **შ. პ. ბოკერია**
მდივანი **ნ. ბ. მრევლიშვილი**
კომისიის წევრები: **ნ. უ. სიჭინავა, ა. ი. რინენბერგი, ს. ი. ქუთათელაძე, ი. ვ. ჩხაიძე, მ. ი. ლომიძე, ი. გ. სურგულაძე.**
(საქინფორმი).

### წულუკიძე

**ამხ. ლ. ა. რუხაძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

წულუკიძის პირველი № 149 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ლონგინოზ ალექსანდრეს-ძე რუხაძის კანდიდატურა.

**ამხ. ნ. ბ. ჭელიძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

წულუკიძის მეორე № 150 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის სტახანოველი მუშა-ქალის — ამხ. ნადია ბართლომეს-ასულ ჭელიძის კანდიდატურა.

### გურჯაანი

**ამხ. ა. ვ. ჯორბენაძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

გურჯაანის საქალაქო № 20 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ანტონ ვასილის-ძე ჯორბენაძე, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ა.-კ. რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე, ქ. თბილისის მცხოვრები.

### ორჯონიკიძე
### (ხარაგოულის რ.).

**ამხ. ნ. ი. თხელიძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ორჯონიკიძის № 111 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ნადეჟდა ივანეს-ასული თხელიძე, უპარტიო, სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობის სტახანოველი ქალი.

**ამხ. ნ. მ. ქლენტის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ბორითის № 113 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ნიკოლოზ მელქისედეკის-ძე ქლენტი.



## სტეფანე სერგოს-ძე ქსოვრელი

ლენინური კომკავშირის რიგებში დავაჟკაცდა ამხ. **სტეფანე სერგოს-ძე ქსოვრელი.** თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების მუშა-მოსამსახურეებმა ამ საუკეთესო სტახანოველის კანდიდატურა ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

სტეფანე ქსოვრელი დაიბადა 1910 წელს კასპის რაიონში, სოფ. ჩოჩეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მან სოფლად მიიღო. ოჯახური მძიმე მდგომარეობის გამო, იგი ადრე გამოდის სკოლიდან და მიწის მუშაობას ჰკიდებს ხელს. 16 წლის ჭაბუკი რომ ხდება, კომკავშირში შედის. ოთხი წლის შემდეგ სტეფანე სტოვებს მშობლიურ სოფელს და თბილისში ეწყობა ხარატის თანაშემწედ სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში.

გლეხურ კავ-გუთანს შეჩვეული სტეფანე ქსოვრელი 1930 წლიდან ხარატის დაზგასთან დგება და დამკვრელურ მუშაობას ეწაფება. ახალგაზრდა ხარატი მალე იქცევს ყურადღებას როგორც ბეჯითი და პატიოსანი მუშაკი. კომკავშირის ორგანიზაციის ხაზით მას მთელ რიგ დავალებებს აძლევენ, რასაც იგი განსაკუთრებული გულისყურითა და მონდომებით ასრულებს.

1934 წლიდან ქსოვრელს ტრამვაის სახელოსნოში ვხედავთ. საწარმოო ტექნიკას დაუფლებული ხარატი აქაც მალე წინაურდება და მუშების საყოველთაო სიყვარულს იმსახურებს. ოთხი წელია, რაც ქსოვრელი ტრამვაის სახელოსნოში მუშაობს და მუდამ გადამეტებით ასრულებს გეგმებს. იგი თავდადებით იბრძვის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად. მისი დაზგიდან გამოსული ნამუშევარი ყოველთვის ფრიადზეა შეფასებული.

1937 წლიდან ამხ. სტეფანე ქსოვრელი საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატია. ლენინურ კომკავშირში აღზრდილი მუშა, იგი ენერგიულად ასრულებს ყოველგვარ დავალებას. სტეფანე არის მექანიკური საამქროს კომკავშირის ჯგუფორგი, აგიტატორი და სახელოსნოს კომკავშირის კომიტეტის ბიუროს წევრი.

მიმდინარე წლის 26 აპრილი დაუვიწყარი დღეა ამ ბედნიერი სტახანოველის ცხოვრებაში. ამ დღეს წამოაყენეს ამხ. სტეფანე სერგოს-ძე ქსოვრელის კანდიდატურა ჩვენი აყვავებული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.
(საქინფორმი).



## პროფ. ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძე

საქართველოს მშრომელი მოსახლეობა პატივითა და სიყვარულით იხსენიებს საბჭოთა მეცნიერების დაუღალავი მოღვაწის პროფ. ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძის სახელს. მას იცნობენ როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ თვალსაჩინო გეოლოგს, რომელიც მთელი თავისი ცოდნით, ნიჭითა და გამოცდილებით აქტიურად ემსახურება სოციალისტური მშენებლობის დიად საქმეს.

პროფ. ალ. ჯანელიძე დაიბადა 1888 წელს სოფ. ნიკორწმინდაში. საშუალო განათლება მან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. 1906 წელს ის ჟენევას გაემგზავრა. რევოლუციური მოძრაობით გატაცებული ახალგაზრდა აქ პოლიტიკურ ემიგრანტებს ეცნობა. ჟენევიდან მალე გადადის პარიზში, სადაც სორბონის უნივერსიტეტში ეწყობა მეცნიერებათა ფაკულტეტის ბუნებისმეტყველების განყოფილებაში. 1911 წელს ის პარიზიდან საქართველოში ბრუნდება და ფიზიკის მასწავლებლობას ეწევა ქუთაისში.

პროფ. ალ. ჯანელიძის ნამდვილი ზრდა-განვითარება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა. 1921—1922 წლებში ის ისევ პარიზს მიემგზავრება და გამოჩენილ აკადემიკოსებთან მუშაობს. ამავე დროს ამზადებს ვრცელ მონოგრაფიას თავის გამოკვლევებზე, პარიზიდან გადადის გერმანიაში და 1923 წლამდე მუშაობს გეოლოგიურ ინსტიტუტში ქალაქ ჰალეში, საიდანაც საქართველოს განსახკომის მოწვევით ისევ თბილისში ბრუნდება.

1923 წელს პროფ. ალ. ჯანელიძე დისერტაციას იცავს გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თბილისის სახ. უნივერსიტეტში. ამ ხანებში მას ნიშნავენ გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის ხელმძღვანელად, რასაც ის დღემდე ასრულებს.

პროფ. ა. ჯანელიძე, უნივერსიტეტში პედაგოგიური სამეცნიერო მუშაობის გარდა უშუალო მონაწილეობას იღებდა და იღებს სოციალისტური მშენებლობის მთელ რიგ დარგებში.

მრავალფეროვანია პროფ. ა. ჯანელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. მისი ამაგი და ღვაწლი ღირსეულად შეაფასა საბჭოთა მთავრობამ და 1936 წელს ის დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით.
(საქინფორმი).



## მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული ამხ. მ. დ. **ჩუბინიძე** დაიბადა 1905 წელს ქალაქ ორჯონიკიძეში (მაშინდელი კავკავი) ხელოსნის ოჯახში.

მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ამხ. ჩუბინიძემ ვერ შესძლო უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის დამთავრება და იძულებული გახდა სოფლად წასულიყო სამუშაოდ.

სოფლის მეურნეობაში ორ წელიწადს ქირაზე მუშაობის შემდეგ, ამხ. ჩუბინიძე 1923 წელს ტიმგზავრება თბილისს, სადაც შედის ამხ. კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში. ამავე სკოლაში 1924 წელს იგი შედის კომკავშირში, ხოლო 1926 წელს პარტიაში.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლის დამთავრების შემდეგ 1927 წელს ამხ. ჩუბინიძე დატოვებულ იქნა იქვე ხარატის თანაშემწედ და წლის ბოლოს დაწინაურებული იქნა კომკავშირულ სამუშაოზე.

1927-დან 1929 წლამდე ამხ. ჩუბინიძე არის საქ. ალკკ რაიკომის განყოფილების გამგე, ხოლო შემდეგ მდივანი, 1929-დან 1930 წლის ბოლომდე — საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი.

1930 წელს ამხ. ჩუბინიძეს ირჩევენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

1932-დან 1935 წლამდე ამხ. ჩუბინიძე მუშაობს პარტიულ სამუშაოზე —საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, შემდეგ ბათუმის ნავთსგადამმუშავებელ ქარხნებში. 1935 წელს ამხ. ჩუბინიძე მუშაობს ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწედ კომკავშირული მუშაობის ხაზით, ხოლო შემდეგ კვლავ პარტიულ სამუშაოზეა, მუშაობს სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივნად.

ამჟამად ამხ. ჩუბინიძე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანია.



## ივანე ალექსის-ძე დევსურაშვილი

ამხ. ივანე ალექსის-ძე დევსურაშვილს საქართველოს მშრომელი მოსახლეობა იცნობს როგორც საუკეთესო სტახანოველსა და ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლს.

ვანო დევსურაშვილი დაიბადა 1906 წელს სოფ. კავთისხევში. ოთხი წლისა რომ გახდა, მამა გარდაეცვალა. ობლად დარჩენილი პატარა ბიჭი უკიდურეს გაჭირვებაში გაიზარდა. ვანოს არ ჰქონდა სწავლის შესაძლებლობა და, როგორც კი ცოტათი წამოიზარდა, ოჯახის რჩენას შეუდგა. წითელ არმიაში გაწვევამდე იგი სოფლად მუშაობდა და დედას ეხმარებოდა. სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ ვანო მუდმივ სამუშაოდ რჩება თბილისში.

სტახანოველი რეკორდსმენი 23 წლის ვაჟკაცი იყო, როცა სტალინის სახ. ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში მოეწყო ზეინკლად. თბილისის გიგანტში ნაყოფიერმა მუშაობამ ვანოს მალე გაუთქვა სახელი. მისი ბრიგადის გეგმა ახლა 200 პროცენტით სრულდება.

ვანო დევსურაშვილი მიღწეული წარმატებებით არასოდეს დაკმაყოფილებულა. იგი შეუპოვრად იბრძვის რეკორდების დასამყარებლად. დაუცხრომელი ზეინკალი ხანდახან 1000-დან 2500-მდე პროცენტით ასრულებს დღიურ ნორმებს. მისი თვიური საშუალო ხელფასი ახლა 1500—1600 მანეთს აღემატება.

ლენინურ კომკავშირში აღზრდილი ზეინკალი, იგი 1931 წლიდან საკ. კ. პ. (ბ) წევრია. ვანო დევსურაშვილი ენერგიულად ჩაბმულია ქარხნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ითვლება პარტჯგუფის ორგანიზატორად, არჩეულია პარტკომისა და კლუბის გამგეობის წევრად.

მიმდინარე წლის 19 აპრილს სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ-სარემონტო ქარხნის 5000-იანმა კოლექტივმა თავისი სახელგანთქმული ზეინკლის კანდიდატურა უდიდესი სიყვარულითა და აღტაცებით წამოაყენა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.
(საქინფორმი).



## გიორგი ივანეს-ძე კიკნაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული ამხანაგი გ. ი. კიკნაძე დაიბადა 1902 წელს სოფელ სალანძილში (ორჯონიკიძის სახ. რაიონი). მამა ადრე მოუკვდა და დარჩა ქვრივი დედის კმაყოფაზე, მიუხედავად მძიმე პირობებისა ამხ. კიკნაძე 1920 წელს ამთავრებს უმაღლეს დაწყებით სკოლას სოფ. ორჯონიკიძეში (ყოფ. ხარაგოული) და შედის ხაშურის ტექნიკუმში. მან ტექნიკუმი დაამთავრა 1923 წელს, მაგრამ ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო იძულებული გახდა შეეწყვიტა სწავლა. 1923-დან 1924 წლამდე ამხ. კიკნაძე მუშაობს დღიურ მუშად ჭიათურის რკინიგზის შტოზე. 1924 წელს მუშაობს პედაგოგად სოფ. ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოული) შვიდწლედში, ხოლო 1927 წლიდან მასწავლებლობს თბილისში.

1929-დან 1934 წლამდე ამხ. კიკნაძე პარტიულ სამუშაოზეა.

1934 წელს საქ. კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხ. კიკნაძე იგზავნება სასწავლად მოსკოვს, განათლების უმაღლეს კომუნისტურ ინსტიტუტში, რომელიც მან დაამთავრა, დაიცვა დისერტაცია სამეცნიერო ხარისხზე, და მიიღო პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

ამხ. კიკნაძე ალკკ-ში შევიდა 1923 წელს, ხოლო 1928 წელს კომუნისტური პარტიის წევრი გახდა.

ამჟამად ამხ. კიკნაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია.

### სურამი

**ამხ. ი. გ. ქარუმიძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

სურამის № 46 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. იოსებ გიორგის-ძე ქარუმიძე, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ხაშურის ელდეპოს უფროსი, ქ. ხაშურის მცხოვრები.

# საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების კანდიდატთა რეგისტრაცია

### ხაშური

**ამხ. ი. ე. ლუდუშაურის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ხაშურის № 45 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ირაკლი ესტატეს-ძე ლუდუშაური, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი, ქ. ხაშურის მცხოვრები.

### ლანჩხუთი

**ამხ. ქ. ი. კილაძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

აცანის № 165 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ქონა იასონის-ასული კილაძე, კომკავშირელი, მამათის ამხ. ლავრენტი ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი კოლმეურნე ქალი.

### ჩხოროწყუ

**ამხ. კ. გ. ჭიჭინაძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ხაბუმეს № 189 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. კონსტანტინე გიორგის-ძე ჭიჭინაძე, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე, ქ. თბილისის მცხოვრები.

### სიღნაღი

**ამხ. ი. ო. მოსაშვილის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სიღნაღის № 95 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ილო ონისიმეს-ძე მოსაშვილი, დაბადებული 1895 წელს, საქ. მწერალთა კავშირის ლიტფონდის დირექტორი, ქალაქ თბილისის მცხოვრები. (საქინფორმი).

**ამხ. ვ. მ. მაზიაშვილის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ზემო-მაჩხაანის № 98 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ვლადიმერ მიხეილის-ძე მაზიაშვილი, დაბადებული 1906 წელს, სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, ქალაქ სიღნაღში მცხოვრები.

**ამხ. მ. ნ. ლაზარაშვილის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქვემო-მაჩხაანის № 97 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრირებულია ამხ. მიხეილ ნიკოლოზის-ძე ლაზარაშვილი, დაბადებული 1913 წელს, სტახანოველი კომბაინერი, სოფ. ბოდბისხევში მცხოვრები. (საქინფორმი).

**ამხ. ნ. ა. ლვინიაშვილის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საქობოს № 96 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ნინო ალექსანდრეს-ასული ლვინიაშვილი, დაბადებული 1901 წელს, კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი, სოფ. საქობოში მცხოვრები. (საქინფორმი).

**ამხ. ა. ი. მგელაძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წითელი-წყაროს № 99 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. აკაკი ივანეს-ძე მგელაძე, დაბადებული 1910 წელს, საქნავთის მმართველი, წითელ-წყაროში მცხოვრები. (საქინფორმი).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების კანდიდატთა რეგისტრაცია

### თბილისი

**ამხ. მ. მ. გვიშიანის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

თბილისის ენგელსის № 23 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. მიხეილ მაქსიმეს-ძე გვიშიანი, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი, ქ. თბილისის მცხოვრები.

**ამხ. ა. ა. ვასაძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

თბილისის კიროვის № 20 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. აკაკი ალექსის-ძე ვასაძე, უპარტიო, რუსთაველის ლენინის ორდენოსანი თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ქ. თბილისის მცხოვრები.

**ამხ. ს. გ. კარაპეტიანის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

თბილისის შაუმიანის № 17 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. სათენიკ გარეგინის-ასული კარაპეტიანი, უპარტიო, თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების პირველი საკანდიტრო ფაბრიკის სტახანოველი ქალი, ქ. თბილისის მცხოვრები.

### თბილისი

**ამხ. ი. ა. ჯავახიშვილის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ქ. თბილისის სტუდენტთა № 27 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა პროფ. ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი, უპარტიო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. თბილისის მცხოვრები.

**ამხ. ნ. ს. აგამენაშვილის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ქ. თბილისის ჩელუსკინელთა № 29 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ნინო სიმონის-ასული აგამენაშვილი, კომკავშირელი, აბრეშუმის ფაბრიკის საქსოვი საამქროს ინსტრუქტორ-კონტროლიორი, სტახანოველი, ქ. თბილისის მცხოვრები.

**ამხ. მ. დ. ჩუბინიძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ქ. თბილისის საბჭოთა № 6 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი, ქ. თბილისის მცხოვრები.

### თელავი

**ამხ. ნ. ი. დევიძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თელავის № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ნინო ივანეს-ასული დევიძე, დაბადებული 1913 წელს, თელავის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის პირველი სტახანოველი მუშა, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, ქალაქ თელავში მცხოვრები.
(საქინფორმი).

### საგარეჯო

**ამხ. ვ. მ. მათიაშვილის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საგარეჯოს საარჩევნო ოლქის № 87-ის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ვლადიმერ მიხეილის-ძე მათიაშვილი, უპარტიო, დაბადებული 1901 წელს, სოფელ საგარეჯოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

### ლაგოდეხი

**ამხ. ბ. ა. ლვინიაშვილის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლაგოდეხის № 100 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ბარბალე ალექსის-ასული ლვინიაშვილი, კოლმეურნე სტახანოველი ქალი, ლაგოდეხში მცხოვრები. (საქინფორმი).

### ლანჩხუთი

**ამხ. ბ. ვ. გოგუას**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლანჩხუთის № 164 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ლანჩხუთის საარჩევნო ოლქში ამხ. ბენიამინ ვასილის-ძე გოგუა, საქ. კ. პ. (ბ) წევრი. საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი, ქალაქ თბილისის მცხოვრები. (საქინფორმი).

### ცაგერი

**ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ცაგერის № 147 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. თბილისის მცხოვრები.

**ამხ. ს. მ. ჭელიძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ალპანის № 148 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. სიმონ მოსეს-ძე ჭელიძე, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მდივანი, ცაგერის მცხოვრები.

### ბორჯომი

**ამხ. ვ. მ. ზერეკიძის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ბორჯომის № 51 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ვლადიმერ მიხეილის-ძე ზერეკიძე, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი, ქ. ბორჯომის მცხოვრები.

### ცხაკაია

**ამხ. ს. ი. დარჯანიას**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

ძველი სენაკის № 175 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. სევერიან იულონის-ძე დარჯანია, პარტიის წევრობის კანდიდატი, მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

### თბილისის რაიონი

**ამხ. ბ. ს. ბერიაშვილის**
**კანდიდატურა რეგისტრირებულია**

თბილისის რაიონის ავჭალის № 33 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ბარბარე სოლომონის-ასული ბერიაშვილი, დიდუბის კოლმეურნეობის წევრი, სტახანოველი ქალი.

# ერთა ლიგის საბჭოს მე-101 სესიაზე

**ჟენევა**, 12 მაისი (საკდესი). გახსნა რა დღეს დილით ერთა ლიგის საბჭოს სესიის სხდომა, თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აბისინიის ნეგუსმა სურვილი გამოსთქვა პირადად მიიღოს მონაწილეობა კამათში აბისინიის მდგომარეობის საკითხზე, რომელიც დღის წესრიგში დასმულია ბრიტანეთის მთავრობის მიერ, და ამიტომ, საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, მას სთხოვენ დაიკავოს ადგილი საბჭოს მაგიდასთან.

ნეგუსი, აბისინიის ლონდონელი ელჩისა და აბისინიის დელეგაციის წევრთა თანხლებით, გამოჩნდა სხდომის დარბაზში და საბჭოს მაგიდას მოუჯდა.

სიტყვა ეძლევა ჰალიფაქსს (ინგლისი), რომელმაც განაცხადა, რომ „იტალია ფაქტიურად ახორციელებს თავის სუვერენიტეტს აბისინიაში“, ამიტომ „ინგლისის მთავრობა მოითხოვს, რათა ერთა ლიგის ყველა წევრს მიენიჭოს თავისუფლება აბისინიაში იტალიის სუვერენიტეტის ცნობის მხრივ მოიქცნენ ისე, როგორც ისინი საჭიროდ დაინახავენ“.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა აბისინიის ნეგუსს ჰაილე სელასიეს.

თავის სიტყვაში ნეგუსი აღნიშნავს, რომ აბისინიას, რომელიც აგრესიის მსხვერპლი შეიქნა, არაერთხელ განუცდია დამცირება. პროცედურის ყველა ხერხი იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ აგრესორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აბისინია გაერიცხათ ერთა ლიგიდან. სახელმწიფოთა უმრავლესობამ დაარღვია ხელშეკრულებები და პაქტები აბისინიის მიმართ.

აბისინიის ხალხის სახელით ნეგუსი ღრმეს მადლობას უცხადებს იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც აბისინიის ხალხის ტანჯვის დაწყებიდანვე უზრუნველჰყვეს მისი მორალური დახმარება და ლოიალურად ასრულებდნენ ერთა ლიგის მითითებებს.

ნეგუსის განცხადებით, მას დიდად გაუტეხა გული იმან, რომ მსოფლიოს ერთერთი უძლიერესი სახელმწიფოს (ნაგულისხმევია ინგლისი. რედ.) მოთხოვნით, აბისინიის საკითხი დასმულია ერთა ლიგის საბჭოს წინაშე იმგვარად, როგორც ეს ჩამოყალიბებულია ინგლის-იტალიის ხელშეკრულებაში.

ნეგუსი დაწვრილებით ეხება აბისინიაში არსებულ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ მთელ რიგ პროვინციებში იტალიელები გამაგრებული არიან მხოლოდ ქალაქებში, სადაც მათ გარნიზონები ჰყავთ, და იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ მთელი პროვინციებიც კი, როგორიც, მაგალითად, დანაკილისა და აუსის პროვინციები.

ამრიგად, ხაზს უსვამს ნეგუსი, ომი გრძელდება და საერთაშორისო სამართალი კრძალავს ცნობილი იქნას ერთი ქვეყნის სუვერენიტეტი მეორე ქვეყნის ტერიტორიის მიმართ, რომელიც პირველის მიერ დროებით არის ოკუპირებული. ნეგუსს შეაქვს ფორმალური წინადადება, რომ საბჭომ აბისინიის საკითხი განსახილველად გადასცეს ერთა ლიგის საბჭოს პლენუმს.

ნეგუსი აცხადებს, რომ მზად არის განიხილოს კონფლიქტის გადაჭრის ყოველი ისეთი პროექტი, რომელიც აბისინიის ხალხისათვის უზრუნველჰყოფდა თავისი ცივილიზაციის, თავისი დამოუკიდებლობის თავისუფალ განვითარებას. თუ ეს მიმართვა უშედეგო დარჩება, მაშინ ომი იტალიის წინააღმდეგ ბოლომდე გაგრძელდება.

ნეგუსის შემდეგ გამოვიდა ბონე (საფრანგეთი), რომელმაც მხარი დაუჭირა ჰალიფაქსის დებულებებს იმ საბუთით, რომ ისინი „განამტკიცებენ გულდაჯერებულობის გრძნობას ევროპაში“, ბოლოს მოუღებენ იმ მდგომარეობას, რომელიც დიდიხანია „ემუქრება საყოველთაო მშვიდობიანობას“.

# ამხანაგ ლიტვინოვის სიტყვა ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე

**ჟენევა**, 12 მაისი (საკდესი). ბონეს შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხანაგ ლიტვინოვს.

თავის სიტყვის დასაწყისში ამხანაგმა ლიტვინოვმა განაცხადა, რომ აგრესორის მიერ ტერიტორიის დაპყრობის მხოლოდდამხოლოდ არაღიარებას არ შეუძლია თავიდან აგვაცილოს აგრესია.

„ამ არაღიარებას, — განაცხადა ამხანაგმა ლიტვინოვმა, — თან უნ- [illegible]

[illegible] კითხში, მეორე მხრივ არ შეიძლება უგულებელვყოთ, რომ ერთა ლიგის ერთერთი წევრის მხრივ უკვე ჰქონდა ადგილი ერთა ლიგის მიერ 1936 წელს მიღებული რეზოლუციის დარღვევას და მეორეთა აშკარა განზრახვას, რომ მომავალში ანგარიში აღარ გაუწიონ ამ რეზოლუციას, მიუხედავად ერთა ლიგის ამათუიმ ახალი გადაწყვეტილებისა. [illegible]

[illegible] ლიგის ბევრმა წევრმა, რეზოლუციის დასარღვევად, უკვე ცოტა რამ გააკეთა აბისინიის ანექსიის ცნობის მიმართულებით და ამიტომ იგივე შესაძლებლობა სხვებსაც უნდა მიეცეს. ჩვენ არ შეგვიძლია საერთაშორისო ვალდებულებათა დარღვევა აღვიაროთ მისაბაძავ მაგალითად. ერთა ლიგის დადგენილებანი, რასაკვირველია, სამუდამო არ არის და ისინი ყოველთვის შეიძლება გა- [illegible]

[illegible] მაღა:

„არის იმის ცნობები, რომ ბრძოლა აბისინიაში არასოდეს არ შეწყვეტილა, იგი გრძელდება დღემდე და თავისი ინტენსიურობით გაიზარდა კიდეც. არის აგრეთვე საწინააღმდეგო მტკიცებანი. ჩვენს განკარგულებაში არსებულ მასალის მიხედვით ძნელია გავერკვეთ ამ სა- [illegible]

[illegible] ვის შეფასებას, რომელთა შედეგიც იყო აბისინიის პრობლემის წამოჭრა ერთა ლიგაში.

ბრიტანეთის მთავრობა, როდესაც მან შემოაქვს წინადადება ერთა ლიგის ყველა წევრისათვის მოქმედების თავისუფლების მინიჭების შესახებ, თავის ძირითად არგუმენტაციას ასაბუთებს იმ ფაქტით, რომ [illegible]

[illegible] მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დიდი ხნით შევინარჩუნოთ ერთა ლიგა, ხოლო მისი შენარჩუნება, მე მინდა ვიფიქრო, უპასუხებს მშვიდობიანობის ინტერესებსა და სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობის სურვილებს“.

ამხ. ლიტვინოვის გამოსვლის შემდეგ სხდომა შესწყდა 16 საათამდე.

# ალვარეს დელ ვაიოს სიტყვა

**ჟენევა**, 11 მაისი (საკდესი). დღეს საღამოს ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე დიდი სიტყვით გამოვიდა ესპანეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალვარეს დელ ვაიო.

თავისი სიტყვის დასაწყისში ალვარეს დელ ვაიომ უპასუხა იმათ, ვინც აცხადებს, რომ მოთხოვნები ერთა ლიგის საბჭოს დღის წესრიგში ესპანეთის საკითხის შეტანის შესახებ ნაკარნახევია მხოლოდ „სიძნელეების შექმნის“ სურვილითო.

„ვიმყოფებოდით რა მთავრობაში და ფრონტებზე,—აღნიშნა შემდეგ ალვარეს დელ ვაიომ, — ჩვენ ყოველდღე მოწმენი ვიყავით ზოგიერთი დემოკრატის გაუგებარი დეზერტირობისა. ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ ეწევიან ისინი კონსპირაციას აგრესორებთან. ისინი უშვებდნენ დაუცველი ქალაქების ბომბარდირებასა და ქალებისა და ბავშვების მასობრივ მკვლელობას, გამოდიოდნენ რა მხოლოდ ზერელე პროტესტებით. ბოლოს, მათ ხელი მოაწერეს აგრესორებთან დადებულ შეთანხმებებს, რომლებიც ახდენენ ესპანეთში ფაშისტური ინტერვენციის ლეგალიზაციას. ჩვენ განცვიფრებული ვიყავით მათი მზადყოფნით ეთანამშრომლათ საერთაშორისო საზოგადოების მტრებთან“.

„კარგად არის ცნობილი, რომ ზოგიერთი ისეთი აზრისაც იყო, რომ ესპანეთის რესპუბლიკას შეეძლო დახმარება გაეწია ერთა ლიგის ალორძინებისათვის, თავისი, როგორც დამოუკიდებელი ნაციის, არსებობის შეწყვეტით, ერთა ლიგის ახლანდელ სესიამდე“.

შემდეგ მოკლედ მოაგონა რა დამსწრეთ გერმანია-იტალიის ინტერვენციის გაძლიერება უკანასკნელ დროს, კერძოდ, ინგლის-იტალიის მოლაპარაკების დროს, იტალიის მთავრობის დაპირებათა დარღვევით, ალვარეს დელ ვაიომ განაცხადა:

„ესპანეთის მთავრობამ დამავალა ერთხელ და სამუდამოდ განვაცხადო, რომ იგი მზადაა ნება დართოს განხორციელდეს ყოველგვარი გამოძიება, რომელიც საბჭომ შეიძლება მოისურვოს იმ მიზნით, რათა გამორკვეულ იქნას სიზუსტე ესპანეთის მთავრობის განცხადებებისა უცხოელთა ინტერვენციის შესახებ. ესპანეთის მთავრობის აზრით, მას უფლება აქვს მოელოდეს, რომ ინფორმაცია უცხოელთა ინტერვენციის შესახებ, რომელსაც იგი გაუგზავნის ერთა ლიგას ან სხვა მთავრობებს, არ იქნება უარყოფილი, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, საჯარო გამოძიების გარეშე.

ევროპაში, — განაცხადა ალვარეს დელ ვაიომ, — არსებობს ორი ქვეყანა, რომელთა პოლიტიკური რეჟიმი დაფუძნებულია ძალადობასა და აგრესიაზე. სწორედ მათ გადაჰყლაპეს ავსტრია. სწორედ ისინი ცდილობენ მოსპონ ესპანეთი. სწორედ ისინი ემუქრებიან ჩეხოსლოვაკიის არსებობას და ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებს აძლევენ არჩევანს კაპიტულაციასა და მათი, როგორც თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფოების, ევროპის პოლიტიკური რუკიდან გაქრობას შორის“.

შემდეგ ალვარეს დელ ვაიომ ამხილა ეგრეთწოდებული „ჩაურევლობის“ პოლიტიკა, რომელიც თავის უკანასკნელ ეტაპებზე „ტრაგიკომიკურ ფარსად“ გადაიქცა.

ალვარეს დელ ვაიომ უარჰყო ზოგიერთის მიერ წამოყენებული არგუმენტი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ „ჩაურევლობის“ პოლიტიკამ, თითქოს, ხელი შეუშალა საყოველთაო ომის დაწყებას. მიუხედავად ამ „ჩაურევლობისა“, იტალია-გერმანიის ფართო მაშტაბის ინტერვენცია მომხდარი ფაქტი შეიქნა. მაგრამ მან არავითარი მოქმედი ღონისძიება არ გამოიწვია ინგლისის ან საფრანგეთის მხრივ.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ხშირად აცხადებდნენ, რომ ესპანეთის საშინაო პრობლემები მხოლოდდამხოლოდ ესპანელი ხალხის მიერ უნდა გადასწყდეს, და რომ „ჩაურევლობის“ პოლიტიკა ამ მიზანს ემსახურება. მაგრამ ამ მხრივაც „ჩაურევლობის“ პოლიტიკამ „სრული და უეჭველი დამარცხება“ განიცადა.

მოვლენებმა დაადასტურეს, რომ საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა „დაადგინეს გერმანიისა და იტალიისათვის უფლება მიეცათ თავისუფლად ჩარეულიყვნენ ესპანელ მეამბოხეთა სასარგებლოდ“. როგორ შეიძლება ასეთ ვითარებაში,— ამბობს ალვარეს დელ ვაიო,—შემდეგშიც ძალაში დავტოვოთ შეთანხმება „ჩაურევლობის“ შესახებ? ეს შეთანხმება ხელს უშლის ესპანეთის მთავრობასა და ხალხს შეიძინონ მათთვის საჭირო საომარი მასალები. ისტორიაში ძნელად შეიძლება ასეთი ტლანქი და უსამართლობის მლადადებელი მაგალითის პოვნა. გარდა ამისა, ამ შეთანხმებამ შესაძლებლობა მისცა ევროპის ორ აგრესიულ სახელმწიფოს, რომელნიც ევროპის მშვიდობიანობისათვის მთავარ საშიშროებას წარმოადგენენ, მინიმალური ძალითა და ხარჯით შეასრულონ გეგმები, რომლებიც ევროპაში ამ ქვეყნების ჰეგემონიის დამყარებას ითვალისწინებენ.

შემდეგ ალვარეს დელ ვაიომ უარჰყო ვერსია იმის შესახებ, რომ რესპუბლიკური ესპანეთის გამარჯვება დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილობას შეარყევს.

ალვარეს დელ ვაიომ ხაზი გაუსვა, რომ ესპანეთის მთავრობა მოითხოვს მხოლოდ საერთაშორისო უფლების ჩვეულებრივი ნორმების აღდგენას, ესე იგი მის უფლებას შეისყიდოს საომარი მასალა. ამ მოთხოვნის გარდა ესპანეთის მთავრობას განზრახვა არ აქვს შეიტანოს საბჭოში რაიმე კონკრეტული წინადადებანი.

# ჩინეთის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი**, 11 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 11 მაისს ჩინეთის 30-ზე მეტი ახალი თვითმფრინავი გაფრინდა იაპონიის 5 ყუმბარმშენის დასახვედრად, რომლებიც გამოჩნდნენ კანტონზე. ჩინეთის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს იაპონიის ორი თვითმფრინავი. იმავე დღეს ჩინეთის ყუმბარმშენება თავს დაესხნენ იაპონიის სამხედრო გემებს, რომლებიც დუნგუანის (კანტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით) მახლობლად დგანან, და სერიოზულად დააზიანეს იაპონიის ერთი სამხედრო გემი. ჩინეთის თვითმფრინავთა მეორე ესკადრილია ერთერთ კუნძულზე, ჩინეთის სამხრეთ სანაპიროს მახლობლად, თავს დაესხა ამ ცოტა ხნის წინათ აგებულ აეროდრომს. ჩინელთა ყუმბარების აფეთქებით განადგურებულია მრავალი ანგარი და თვითმფრინავები, რომლებიც შიგ იყო; დანგრეულია ბენზინსაცავი.

○

**ლონდონი**, 11 მაისი (საკდესი). გაზეთი „ივნინგ სტანდარტის“ ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 11 მაისს დილაადრიან ჩინეთის 12 თვითმფრინავი თავს დაესხა იაპონიის სამხედრო გემებს კუნძულ სანჯოუს მახლობლად, მაკაოდან სამხრეთ-დასავლეთით 15 კილომეტრზე, და ჩასძირა იაპონიის ერთი სამხედრო გემი.

# ინგლისის გემების ბომბარდირება მეამბოხეების მიერ

**ლონდონი**, 12 მაისი (საკდესი). როგორც იტყობინებოდნენ, ამ ცოტახნის წინათ ინგლისის გემების რამდენიმე კაპიტანმა, რომელნიც ვალენსიაში იმყოფებოდნენ, პროტესტით მიმართეს საგარეო საქმეთა სამინისტროს იმის გამო, რომ ინგლისის მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს ინგლისის გემებზე ესპანელ მეამბოხეთა სისტემატური თავდასხმის წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით ლეიბორისტებმა შეკითხვა შეიტანეს თემთა პალატაში. უპასუხა რა ამ შეკითხვაზე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბეტლერმა განაცხადა, რომ 5 მაისს ვალენსიაზე საჰაერო თავდასხმის დროს მსუბუქად დაზიანდა ინგლისის გემი. 7 მაისს კვლავ ადგილი ჰქონდა 2 საჰაერო თავდასხმას, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისის გემთა კაპიტნების პროტესტის საგანს.

7 მაისს საჰაერო თავდასხმის დროს ძლიერ დაზიანდა გემი „გრეიტენდი“ და დაიჭრა ორი კაცი მისი კომანდიდან. ინგლისის სხვა გემებს უმნიშვნელო ზიანი მიაყენეს. ვალენსიაზე შემდგომი მეოთხე, საჰაერო თავდასხმის დროს ჩამოჰყარეს ყუმბარები, თვითმფრინავები ძალიან დაბლა დაფრინავდნენ ინგლისის გემების „სტენჰოპის“ და „სტენკროფტის“ ახლოს. უკანასკნელი საჰაერო თავდასხმა, როგორც ინგლისის მთავრობა ფიქრობს, წინასწარი განზრახვით იყო მოწყობილი, მიზნად ისახავდა ინგლისის გემების ბომბარდირებას. ამის შემდეგ, — განაცხადა ბეტლერმა, — ინგლისის აგენტს ბურგოსში ხოჯსონს მიეცა მითითება — კატეგორიული პროტესტი განაცხადოს ამ უკანონო თავდასხმის წინააღმდეგ, მოითხოვოს ინციდენტის დაუყოვნებლივ გამოძიება.



ზესტაფონის ფერო-შენადნობთა ქარხნის მუშათა დაბა ახალი სოციალისტური ქალაქის სახეს ღებულობს, ხდება პარკის კეთილმოწყობა, პალმებით, კაქტუსებით და ყვავილებით იმოსება ასფალტირებული ქუჩების კიდეები. **სურათზე:** ფერო-შენადნობთა ქარხნის მუშათა დაბა.

# „თქმულება იგორის ლაშქრობისას“ ახალი თარგმანი

25 მაისს სრულდება 750 წელი დიდი რუსი ხალხის უდიდესი ეპიური ნაწარმოების „ამბავი იგორის ლაშქრობისას“ დაწერიდან. მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით ემზადება ამ მეტად დიდი ისტორიულ - პოლიტიკური მნიშვნელობის თარიღის აღნიშვნისათვის.

საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად ორდენოსანი საქართველოც ემზადება მოძმე რუსი ხალხის ამ სახალხო დღესასწაულის შესახვედრად.

ქართულ ენაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ ყოფილა არავითარი ცდა ამ უდიდესი რუსული ხალხური ნაწარმოების გადმოთარგმნისა.

ამჟამად ქართულ ენაზე უკვე მოიპოვება ამ პოემის ორი საუკეთესოდ შესრულებული თარგმანი — პოეტების სიმონ ჩიქოვანისა და კონსტანტინე ჭიჭინაძისა.

8 მაისს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მთარგმნელთა სექციამ მოაწყო პოეტ კ. ჭიჭინაძის მიერ თარგმნილი „ამბავი იგორის ლაშქრობისას“ კითხვა-განხილვა.

როგორც მთარგმნელმა ამხ. კ. ჭიჭინაძემ განაცხადა, თარგმანს საფუძვლად უდევს პოემის დედანი და პროფ. მაქსიმოვიჩის სიტყვასიტყვითი თარგმანი, გამოყენებულია აგრეთვე პოემის ყველა აკადემიური გამოცემები და სიტყვასიტყვითი თარგმანები.

პოემის ქართული თარგმანი რუსული ხალხური ლექსისათვის რომ დაემგვანებია, მთარგმნელს მიუმართავს ყველგან ლექსის დაქტილური (სამმარცვლოვანი) დაბოლოვებისათვის, რაც პოემას უსათუოდ ეთვისება და სიამოვნებით იკითხება.

თარგმანის გამო აზრი გამოსთქვეს მწერლებმა: კონ. გამსახურდიამ, ვ. წულუკიძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, ი. ლისაშვილმა, გ. ქიქოძემ, ალ. აბაშელმა, ს. ეულმა და ს. ჩიქოვანმა.

გამოსული ამხანაგების აზრით, გარდა იმ მეტად მცირე შენიშვნებისა, რაც დაკავშირებულია ცალკეული სიტყვების გამოთქმასთან, მთარგმნელმა კ. ჭიჭინაძემ ბრწყინვალედ დასძლია ის დიდი სიძნელენი, რომელნიც პოემის თარგმნასთან იყვნენ დაკავშირებული, პოემა კარგი გამოვნებითა და მშვენიერი ქართულით არის თარგმნილი. მთარგმნელი ღრმად ჩასწვდომია პოემის დედნის ბუნებას, რაც უსათუოდ მისასალმებელია.

პოემის ახალი თარგმანი დიდი და ძვირფასი საუნჯეა ქართული წიგნის საგანძურში.

## ფეხბურთი

# თბილისი „დინამო“—მოსკოვი „ლოკომოტივი“

12 მაისს დაიწყო „ბრძოლა“ საბჭოთა კავშირის 1938 წლის ჩემპიონის სახელის მოპოვებისათვის, რომელშიც მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის 26 უძლიერესი გუნდი.

გათამაშების პირველ დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდები.

თამაში ფრთხილად დაიწყო. ორივე გუნდი ცდილობს ინიციატივის ხელში ჩაგდებას. მეხუთე წუთზე ბურთი მოსკოველების მოედანზე გადადის, „ლოკომოტივის“ ერთერთი დამცველი მას ხელით აჩერებს, რისთვისაც მოსკოველები ჯარიმდებიან 11-მეტრიანი თავისუფალი დარტყმით.

პენალტის ოსტატის მ. ბერძენიშვილის ოხდენილი დარტყმით ბურთი მოექცა მოსკოველთა ბადეში.

პირველ მარცხს მოსკოველებმა უპასუხეს სწრაფი კონტრშეტევით. ისინი ხშირად იჭრებოდნენ თბილისელების კართან, მაგრამ „დინამოელთა“ დაცვა, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებით კარგად თამაშობდა, დაშვიდებით იგერიებდა „ლოკომოტიველთა“ იერიშებს.

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:0 თბილისელების სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევარი დაიწყო კვლავ მოსკოველთა ენერგიული შეტევით.

მე-15 წუთზე თბილისელების მარჯვენა გარემარბმა გ. ჯეჯელავამ ფროლოვისაგან მიიღო ბურთი, რომელიც სწრაფად მიიტანა კართან და ზუსტად გამოზომილი დარტყმით გადასცა ბერეჟნოის, ხოლო ამ უკანასკნელის დარტყმით მეორე ბურთიც მოექცა მოსკოველების ბადეში.

მოსკოველებმა გამოაცოცხლეს თამაშის ტემპი და ძალიანაც შეავიწროვეს თბილისელების კარი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:0 თბილისის „დინამოს“ ოსტატების სასარგებლოდ.

კარგად სჯიდა მსაჯი ტერეხოვი.

**ს. ბერბიძე**

# ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება შემდეგი ახალი წიგნები: სახელგამის გამოცემით უ. შექსპირი — დრამები; ივანე მაჩაბლის თარგმანი.

„ფედერაციის“ გამოცემით: პანტელეიმონ ჩხიკვაძე — „თხზულებანი“. წიგნში მოთავსებულია პ. ჩხიკვაძის მოთხრობები და რომანი „სართულები“.

სანდრო ეული — ლექსები და პოემები. წიგნში მოთავსებულია პოეტის მიერ 1930-37 წლამდე დაწერილი ლექსები და პოემები. წიგნს დართული აქვს პოეტის მოკლე ბიოგრაფია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემით: პროფ. ა. თვალჭრელიძე — კრისტალთა ოპტიკა; ა. ბერშტეინი—ალბათობის თეორია; რ. ვ. გერნი — შესავალი ქვანტურ მექანიკაში; სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები VI (საზოგადოებათ მეცნიერებანი) და 1938 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები და მისაღები გამოცდების პროგრამა.

ახლო ხანში გამოვა: კ. კაპანელი—მეტყველებისა და ლიტერატურის პრობლემები; კოვალიოვი — საბერძნეთის ისტორია და ქ. სიხარულიძე — საბავშვო ფოლკლორი.

## ხელოვნება

### მარჯანიშვილის სახ. თეატრის გასტროლები ქუთაისში

5 ივნისიდან იწყება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები ქუთაისში.

თეატრი გასტროლებზე მიემგზავრება თავისი ძირითადი რეპერტუარით.

### „კოლმეურნის ქორწინება“

მიმდინარე სეზონში მარჯანიშვილის სახელობის თეატრი გვიჩვენებს კიდევ ერთ პრემიერას—პ. კაკაბაძის ახალ კომედიას „კოლმეურნის ქორწინება“.

პიესას სდგამს რესპ. დამს. არტისტი შ. ღამბაშიძე, მხატვრული გაფორმება—კ. სანაძისა, მუსიკა გ. კოკელაძისა.

მთავარ როლებში გამოვლენ შემდეგი მსახიობები: შ. ღამბაშიძე, ს. ჟორჟოლიანი, კ. კვანტალიანი, ც. თაყაიშვილი, ს. ზაქარიაძე, შ. შავგულიძე, შ. ჯაფარიძე, გ. ლომია, ს. რამიშვილი, თ. ჩარკვიანი, მ. სარაული და სხვ.

პრემიერა ნაჩვენები იქნება მაისის დამლევს.

# პარტკალენდარი

### ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

**14 მაისს**

**საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: 1917 წლის აპრილის კონფერენცია. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ფრუიძე, დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ლენინიზმის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: ნაციონალური საკითხი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის შემადგენელი ნაწილია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კონსულტაცია რუსულ ენაზე.

**აგიტაციის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: ესპანელი ხალხის ბრძოლა იტალია-გერმანიის ფაშისტ - ინტერვენტთა და მათ დაქირავებულთა წინააღმდეგ. კონსულტანტები: ქართულ ენაზე—ამხ. გიორგაძე, რუსულზე — ამხ. პავჩინსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ალკკ კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე, კიევის სახელმწიფო. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. კრავჩენკო. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**14 მაისს, საღამოს 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ქალაქის პარტაქტივისათვის შესდგება ამხ. ბ. ლიუდვიგოვის მოხსენება რუსულ ენაზე, თემა: პარტიის მე-5 ყრილობა (31 წლისთავთან დაკავშირებით).**
შესვლა ბარათებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**


**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 14/V | მუდმ. ადგ. ტალ. № 186 **კარმენ** გადმოტანილი 9 მაისიდან. |
| 15/V | მუდმ. ადგ. ტალ. № 191 ერთდრ. ბილ. სერია № 5 **ბალეტი მალთაყვა** |
| 16/V | მუდმ. ადგ. ტალ. № 192 **დაისი** |

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

**რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი**

| | |
|---|---|
| 14/V | წარმოდგენა 170 **სულელი** |
| 15/V | წარმოდგენა 171 **სულელი** |
| 16/V | წარმოდგენა 172 **ნაპერწკლიდან** |

დასაწყ. 8 საათზე.

**მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**

| | |
|---|---|
| 14/V წარმ. № 172 | **პირისპირ** |
| 15/V წარმ. № 173 | **პირისპირ** |

**დღეს სახალხო კინოთეატრებში**

| | |
|---|---|
| **ოქტომბერი** პლეხანოვის პროსპ., 135 | ხმოვანი კომედია **ვოლგა-ვოლგა** დასაწყ. 6-30 |
| **კომკავშირელი** პლეხანოვის პროსპ., 91 | საზაფხ. შენობაში **ვოლგა-ვოლგა** დასაწყ. 8-30; საზამთ. შენ. **დაკარგული სამოთხე** დასაწყ. 6-30 |
| **დამკვრელი** პლეხანოვის პროსპ., 125 | ახალი ხმოვანი სრულმეტრაჟიანი ფილმი |
| **სპარტაკი** რუსთაველის პროსპ., 23 | **პაპანინელები** სეანსები 6-30, 8, 9-30, 11 |
| **რ. ლუქსემბურგის სახ.** ჯორჯიაშვილის, 8 | ხმოვანი ფილმი **კატერინა** დასაწყ. 6 ს. |
| **26 კომ. სახელობის** შაუმიანის მოედანი | ხმოვ. მხატვრ. ფილმი **საზღვარს კლიტე ადევს** დასაწყ. 6-30 |
| **არსენა** კომუნალური ქ., № 9 | ხმოვანი ფილმი **უკანასკნელი ბანაკი** დასაწყ. 6-30 |
| **კომინტერნი** (საზაფხულო) | ხმოვანი ფილმი **დაკარგული სამოთხე** დასაწყ. 8-30 |
| **ახალი ამბები** პლეხანოვის პროსპ., 125 | ხმოვანი ფილმი **საუნჯეთა კუნძული 1-ლი მაისი თბილისში** |

**მიიღეთ თუ არა თქვენ ობლიგაციები მეორე ხუთწლედის სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) ხელმოწერით?**

**იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ხელი აქვთ მოწერილი მეორე ხუთწლედის სესხზე** (მეოთხე წლის გამოშვება) **და არ მიუღიათ** ობლიგაციები, **შეუძლიანთ მიიღონ** ისინი ცენტრალურ ან რაიონულ შემნახველ სალაროებში ხელმოწერის ადგილის მიხედვით, სადაც ობლიგაციები ჩაბარებულია საწარმოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე სოფლსაბჭოების ბუხჰალტერიის მიერ.

**ობლიგაციების მისაღებად** მუშებმა და მოსამსახურეებმა უნდა წარადგინონ საწარმოს ან დაწესებულების ბუხჰალტერიის ცნობა ხელმოწერის მიხედვით გადახდილი შესატანების შესახებ, ხოლო კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა გლეხებმა—სესხის საანგარიშო ქვითარი, რომელიც მათ ხელზე აქვთ.

**ვიდრე** ობლიგაციებს ხელზე **მიიღებდნენ, ხელის მომწერთ არ შეუძლიან მონაწილეობა მიიღონ სესხის მოგებათა ტირაჟებში.**

**მეორე ხუთწლედის სესხის** (მეოთხე წლის გამოშვება) **ობლიგაციებს შემნახველი სალაროები ხელისმომწერლებზე გასცემენ 1938 წ. 1 ივნისამდე**

სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის მთავარი სამმართველო. 92

**საქართველოს ცაკთან არსებული ბავშვთა კომისიის სავაჭრო-საწარმო სექტორი აუწყებს**

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ ფურცელაძის ქ. № 20-ში ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3528 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.

სესხის მქონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მქონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 1560

**საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი თავისი მარაგ გასაღების კანტორებით აუწყებს**

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზით არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ პუშკინის ქ. № 3 ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.

სესხის მქონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მქონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 1550

**საქპურტრესტი**
ძერჟინსკის ქ. № 22
**აუწყებს**

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზით არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ საქპურტრესტის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3528 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.

სესხის მქონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მქონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 1105


მისამართი. რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სას.-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—251